



## სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი

პროგრამის განხორციელების შეფასების ერთ-ერთ ასპექტად ბხსუ მიიჩნევს პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელს რომელიც, ბხსუ-ს აზრით, წარმოადგენს სტუდენტების მომზადების დონის შეფასების ობიექტურობის გაზრდის და სასწავლო პროცესის მართვის ერთ-ერთ ელემენტს, ბხსუ-ში განათლების ხარისხის გაუმჯობესების და ბხსუ-ში ხარისხის მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის ერთ-ერთი მიზანია სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის და მთლიანად პროგრამის, ფაკულტეტის და მთლიანად ბხსუ-ს დონეზე. ამ ანალიზმა შეიძლება გადაჭრას პროგრამის კომპონენტის შესწავლის დატვირთვის, პროგრამის კომპონენტის შესწავლაზე სტუდენტის მიერ გაწეული შრომის ეფექტიანობის განსაზღვრის და შეფასების რელევანტურობა. ბხსუ-ს სხვადასხვა დონის ხელმძღვანელებს აკადემიური მოსწრების ანალიზი აძლევს შესაძლებლობას:

- განსაზღვრონ სტუდენტების მიერ პროგრამების ათვისების ხარისხი;
- სტუდენტთა რეიტინგების საფუძველზე დააფიქსირონ პროგრამებით დაგეგმილი კომპეტენციების მიღწევის დონე პროგრამის კომპონენტების, განათლების მიმართულებების /სპეციალობების, აკადემიური წლების, ფაკულტეტების მიხედვით და მთლიანად ბხსუ-ში;
- მოახდინოს პროგრამების განმახორციელებელთა (შემდგომში - ლექტორთა) მუშაობის ხარისხის კონტროლი.

შეფასების ობიექტები არის სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შედეგები, რომლებიც იძლევიან მისი ცოდნის, უნარების და შესაძლებლობების შეფასების საშუალებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება შეფასების სხვადასხვა კომპონენტები/მეთოდები, მაგ., პრეზენტაციები, დისკუსიაში მონაწილეობა, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაო, თეორიული/პრაქტიკული/გრაფიკული დავალებები, ესე, ტესტები და სხვა შეფასების ობიექტები, რომლებსაც აქვთ დოკუმენტური დადასტურება. სარეიტინგო სისტემის ერთერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სტუდენტთა დროული და ამომწურავი ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ.

ბხსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით: დანართი 3.2.2; დანართი 3.2.3; დანართი 3.2.4